# მონაცემების მოდული - მოსწავლის ბარათი

ამ დირექტორიაში შესაძლებელია, გარკვეული დეტალიზაციით, დირექტორის ან დირექტორის როლის მქონე სხვა მომხმარებლის მიერ როგორც სემესტრული, ისე წლიური და საფეხურებრივი შეფასებების დაწერა აუცილებლობის/საჭიროების შემთხვევაში. ასევე შესაძლებელია განმსაზღვრელი შეფასებების რედაქტირება ზემოაღნიშნულ სასწავლო პერიოდებში.

**შენიშვნა:** სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობით გადმოსული მოსწავლის მონაცემების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში ხდება ანალოგიური გზით, შესაბამისად გთავაზობთ **„მოსწავლის ბარათის“** საერთო ინსტრუქციას.

- **მოსწავლეთა წლიური და სემესტრული და საფეხურებრივი შეფასების დამატება**

მონაცემების მოდულიდან აირჩიეთ მოსწავლის ბარათი:




ფილტრაციის ველში ჩაწერეთ მოსწავლის მონაცემები, აირჩიეთ ძიების ღილაკი და



**შენიშვნა:** თუ აფასებთ არააქტიურ მოსწავლეებს (მაგალითად უკვე ამორიცხულებს/დონედაძლეულებს) **„სტატუსის“** შესაბამის ფანჯარაში უნდა ჩამოშალოთ და აირჩიოთ **„არააქტიური“.**

როდესაც გახსნით მოსწავლის მონაცემებს, გიჩვენებთ განვლილ საფეხურს/ საფეხურებს და მიმდინარე საფეხურს (ანუ რომელ საფეხურზეც იმყოფება მოსწავლე).



საბაზო საფეხურის (კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში) არჩევის შემდეგ აჩვენებს ყველა იმ საგანს, რომელიც ფიქსირდება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool).

იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საგანი არ ფიქსირდება ზემოაღნიშნულ სისტემაში, სკოლის ადმინისტრაციამ წერილით უნდა მომართოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და მოითხოვოს საგნის დამატება.

თუ სკოლა ამატებს ისეთი საგნის შეფასებას, რომელიც შესაბამის სემესტრში არ ისწავლება, მიმღები სკოლა საგანს ამატებს შემდეგნაირად:

დამატების ღილაკზე დაჭერის შემდეგ უნდა აირჩიოთ შედეგის ტიპი:




აირჩიეთ კლასი > სემესტრი > საგანი > ჩაწერეთ საშუალო ქულა და ღილაკი **„შენახვა“**.




იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მობილობა განხორციელდა ისეთი სკოლიდან, რომელიც არ აწარმოებდა ელექტრონულ ჟურნალ „ონლაინ სკოლას“ (კერძო სკოლა, უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლე, საჯარო სკოლა, რომელიც არ აწარმოებდა ჟურნალს) მიმღებმა სკოლამ უნდა ასახოს შემდეგი ტიპის შეფასებები: სემესტრული შეფასება; წლიური შეფასება; საფეხურეობრივი შეფასება.

## სემესტრული შეფასების დამატება

აირჩიეთ დამატების ღილაკი




შედეგების ტიპებიდან აირჩიეთ სემესტრული >კლასი > სემესტრი > საგანი > და ჩაწერეთ საშუალო ქულა. შესანახად დააჭირეთ შენახვის ღილაკს.



## წლიური შეფასების დამატება

აირჩიეთ დამატების ღილაკი




შედეგების ტიპებიდან აირჩიეთ წლიური >კლასი > სასწავლო წელი> საგანი > და ჩაწერეთ საშუალო ქულა. შესანახად დააჭირეთ შენახვის ღილაკს.



## საფეხურეობრივი შეფასების დამატება

აირჩიეთ დამატების ღილაკი




შედეგების ტიპებიდან აირჩიეთ საფეხურის> სასურველი საფეხური > ჩაწერეთ საშუალო ქულა. შესანახად დააჭირეთ შენახვის ღილაკს.




## მიმდინარე სემესტრის შეფასების დაწერა

აირჩიეთ სასურველი საფეხური



აირჩიეთ სასურველი საგანი > შემდეგ გახსენით სემესტრები და აირჩიეთ სასურველი სემესტრი> დააჭირეთ ,,+“ დამატების ღილაკს, როგორც ეს ფოტოზეა ნაჩვენები







მიმდინარე სემესტრის მონაცემების გადმოტანაში უნდა ასახოთ შემდეგი ინფორმაცია: გადმოყოლილი საშუალო ქულა (ნიშნების ფურცელზე რა შეფასებების წერია, იმის საშუალო) > ქულათა რაოდენობა (რამდენი ნიშნით გამოვიდა საშუალო ქულა) > გაკვეთილის რაოდენობა (რამდენი გაკვეთილი იყო) >გაცდენათა რაოდენობა. (რამდენი გააცდინა). შენახვისთვის აირჩიეთ ღილაკი **,,დამატება“**




## წლიური შეფასების რედაქტირება

წლიური შეფასების რედაქტირებისთვის უნდა აირჩიოთ მითითებული ღილაკი




რედაქტირებაზე დაჭერის შემდეგ ჩაწერეთ წლიური შეფასება და ღილაკი შენახვა.




შეფასების გვერდით მითითებული აღნიშვნა  ნიშნავს, რომ მასწავლებლის მიერ არის დარედაქტირებული შეფასება. ხოლო შეფასებას, რომელსაც მსგავსი აღნიშნა არ აქვს, ნიშნავს, რომ ჟურნალმა ავტომატურმა გამოთვალა.

- **სკოლის დირექტორის/უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლეთა სემესტრული შეფასების კორექტირება**

მონაცემების მოდულიდან აირჩიეთ მოსწავლის ბარათი:




ფილტრაციის ველში ჩაწერეთ მოსწავლის მონაცემები, აირჩიეთ ძიების ღილაკი და გახსნისთვის დააჭირეთ გაფერადებულ ადგილას (შესაძლოა მხოლოდ ერთი მონაცემის ველის შევსებაც).




როდესაც გახსნით მოსწავლის მონაცემებს, გიჩვენებთ გავლილ საფეხურს/ საფეხურებს და მიმდინარე საფეხურს (ანუ რომელ საფეხურზეც იმყოფება მოსწავლე). საფეხურის არჩევის შემდეგ კი აჩვენებს ყველა იმ საგანს, რომელიც ფიქსირდება ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool).

**შენიშვნა:** თუ აფასებთ/არედაქტირებთ არააქტიურ მოსწავლეებს (მაგალითად უკვე ამორიცხულებს) **„სტატუსის“** შესაბამის ფანჯარაში უნდა ჩამოშალოთ და აირჩიოთ **„არააქტიური“.**




სემესტრული შეფასების დამატებისთვის აირჩიეთ  საფეხური, სადაც გინდათ რომ დაამატოთ სემესტრული შეფასება:




საფეხურის არჩევის შემდეგ გიჩვენებთ საგნების ჩამონათვალს.




აირჩიეთ სასურველი საგანი, შემდეგ კი სემესტრი (სემესტირს ასარჩევად დააჭირეთ ფოტოზე მითითებულ გაფერადებულ ადგილას)



ამის შემდეგ მიმდინარე სემესტრის გასწვრივ  დააჭირეთ ფანქრის ღილაკს, ისე როგორც ეს ფოტოზეა ნაჩვენები:




შემდეგ აირჩიეთ ღილაკი **,,რედაქტირება“.**




რედაქტირების არჩევის შემდეგ, გააქტიურდება საშუალო ქულის ველი, სადაც უნდა ჩაწეროთ საშუალო ქულა და შესანახად დააჭიროთ ღილაკი **,,შენახვა“**




შენახვის შემდეგ განაახლეთ გვერდი ღილაკზე Ctrl + F5 დაჭერით (ან შედით ახლიდან) და გამოგიჩნდებათ შეტანილი შეფასება.

შეფასების გვერდით მითითებული აღნიშვნა 

ნიშნავს, რომ მასწავლებლის მიერ არის რედაქტირებული შეფასება. ხოლო შეფასებას, რომელსაც მსგავსი აღნიშნა არ აქვს, ნიშნავს, რომ ჟურნალმა ავტომატურმა გამოთვალა.